№ 186
სეკდემბრის 3, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 186
სეკდემბრის 3, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს ოთხ მანეთად და თხუთმეტ შაურად (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ· Товарищество фармацевтовъ· ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фармацевтика·

ტელეფონი № 741.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძლიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ზ. ვ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათამდის.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 3 სეკდემბერს.

მოგეხსენებათ, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს დედა-ენად, და თემიური კილო-კავები (нарѣчія), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ხალხის განათლებაში ამ სიტყვიერების ფაქტორებს კაცობრიობის კეთილ-გონიერებამ ასეთი დანიშნულება მისცა: ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზედ და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში დედა-ენის სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლება. ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველა კულტურულს ქვეყნებში. ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის და, სხვათა შორის, კავკასიელებშიაც. კავკასიელს თათრებს, მაგალითად, აქვთ რამდენიმე პროვინციალური ენა, კილო-კავი, რომელნიც დიდად განირჩევა მათის დედა-ენიდგან, რომელსაცა ჰქვიან ადერბეიჯანური ენა (адербейджанское нарѣчіе). სახელმძღვანელო წიგნები თათრულის ენისა და რუსულისა ყველა თათრულის სკოლებისათვის მხოლოდ ამ უკანასკნელს ენაზე არიან შემდგარი და ეს სახელმძღვანელოები იხმარებიან ყველა თათრულ თემთა შორის, სადაც-კი სკოლები არსებობენ. თუ მკითხველი იფიქრებს, რომ ეს თათრული სახელმძღვანელოები რომელიმე პატრიოტ თათრისაგან იქმნებიან შედგენილნიო, ძალიან მოსტყუვდება. მათი ავტორი არის ბუნებრივ რუსი, ჩერნიაევსკი, რომელიც ჯერ ჩინოვნიკად იყო თათრულის პროვინციაში, სადაც კარგად შეისწავლა თათრული ენა, მერმე გაპედაგოგდა, გახდა ინსპექტორად გორის საოსტატო სემინარიის თათრულს განყოფილებისა და სწორედ ამ დროს შეადგინა თათართათვის მათის დედა-ენისა და რუსულის ენის სახელმძღვანელოები, და ორივეში მხოლოდ საერთო ადერბეიჯანური ენა იხმარა. ახლა ვიკითხოთ: როგორ მიეგება ამ ნაბიჯს სასკოლო მთავრობა? დიდი სიამოვნებით, და არამც თუ მოიწონა ჩერნიაევსკის წიგნები, არამედ საღსარიც მისცა, რომ თვითონ ავტორს გამოეცა ეს წიგნები და გაევრცელებინა სკოლებში. და ახლა ყველა თათრულს სკოლებში იხმარებიან ეს სახელმძღვანელოები, ადგილობრივის თათრულის კილო-კავების დახმარებით და ავრცელებენ თათრულს დედა-ენას ყველა კავკასიელ თათარ თემთა შორის, მისი შუამავლობით ცოდნასა ჰფენენ ხალხში და აერთებენ, ერად კუმშამენ ყველა თემების თათრებსა.

ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც, მთავარის სომხურის გარდა, აქვს პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელიც ისე განირჩევიან მათი დედა-ენისაგან რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება. მიუხედავად ამისა, ყველა სომხურს სკოლებში იხმარებოდნენ და იხმარებიან სახელმძღვანელონი, რომელნიც შედგენილნი არიან ლიტერატურულ დედა-ენაზე. ამითი მთელს სომხობაში ღრმად იდგამს ფესვებს ერთი და იგივე ლიტერატურული დედა-ენა, ერთი და იგივე ცოდნა და მჭიდროდ აერთებს ხალხსა.

ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა და დააარსა სკოლები. მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული დღეინდელ დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდგან დაწყებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულს დედა-ენაზე დაწერილნი. განსამარტავად ადგილობრივ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზებისა, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივს ტერმინებსა და ფრაზებსა, მაგალითად, სამეგრელოში და სვანეთში, დ სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ დედა-ენის სრულს ცოდნასა. ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესს, ღვთისაგან დალოცვილს და კაცთაგან მოწონებულს, მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში. მაგრამ მოულოდნელი ახდა, შეუძლებელი აცხადდა. და აცხადდა მხოლოდ ჩვენში დ სხვაგანარსად არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურს კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა-ენაზეო.

ჩვენში-კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახანი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდგან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობსო.

რას გვიქადის ამ უკუღმართის აზრის სისრულეში მოყვანა, განხორციელება? რა საკვირველია, მეტად ცუდს მომავალსა. ერთმა კავკასიელმა ერმა კაი ხანია მოჰგლიჯა ჩვენს სამშობლოს აღმოსავლეთის ვეებერთელა კუთხე, სახელდობრ ზაქათალის მაზრა, საინგილო, ყარაისი, მეორემ ერთის საუკუნის განმავლობაში ხელთ იგდო სამი დიდი მაზრა საქართველოსი: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, და ამას გარდა გაბატონდა აღმოსავლეთის საქართველოს ყველა ქალაქებში. ჩვენმა სამშობლომ დაჰკარგა თითქმის მესამედი თავისი ტერრიტორიისა, მიწა-წყლისა. აღმოსავლეთის საქართველო საკმაოდ შესუსტდა; მაგრამ დასავლეთის საქართველო თავისის ერთიანობით, თავისი სრული ქართველობით ღონიერი იყო დ ბოლოს ხან მისი გამჭრიახი, უნარიანი, მოხერხებული დ მხნე ერი გაძლიერების გზას დაადგა. სრული იმედი იყო, რომ გაძლიერებულნი იმერნი გაჭირვებულს ამერებს მოეშველებოდნენ, ზურგს მისცემდნენ და შეერთებული ძალით დაუბრუნებდნენ ძვირფასს დანაკარგსა, როგორც თვითონ იბრუნებდნენ წინა საუკუნოებში თავისას ამერების შემწეობით. მაგრამ ეშმაკს როდი ეძინა. იმან მოიწადინა თვით იმერთა სამშობლოც დაენაწილებინა, დაექუცმაცებინა, მოეწყვიტნა შავის ზღვის ნაპირებიდგან, დაეუძლურებინა. სახსარებაც მალე იპოვნეს: სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტა, მოშორება საერთო ნიადაგიდგან...

რაც შეეხება კერძოდ იმ მხარეებს, რომელთაც მოწყვეტას უპირებენ, ისინი იმავე სიკეთეს მოიმკიან, რა სიკეთეც მოელის ტოტებსა, ხიდგან მოჭრილებსა. დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდგან. ნუ ვინ მოიყვანს აქ საწინააღმდეგოს საბუთად მყნობას. სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე; მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიად სხვა გვარს ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს. ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად იმ გამხრწნელი პროცესისა, რომელიც ერთმა მსწავლულმა რუსეთისამ დაახასიათა ამ ტერმინით: „мерзость запустѣнія“.

დიაღ, განცალკევება ჰღუპავს ეროვნულს ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც...

ტფილისი

✦ კვირას, 1 სეკდემბერს, ტფილისში ჩამობრძანდა მათი ბრწყინვალება, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი. მათს ბრწყინვალებას ტფილისის ვოგზალზედ დაუხვდნენ გუბერნატორი, კომენდანტი, გენერლობა, ქალაქის თავი და მრავალ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მათი ბრწყინვალება ვოგზლიდგან პირდაპირ სასახლეში გაემგზავრა.

✦ ჩვენის სათეატრო დასის არტისტებმა და ქართულ დრამ. საზოგადოების გამგეობის წევრთ დეპეშით მიულოცეს ოცის წლის შესრულება სასცენო მოღვაწეობისა იუჟინს (თავ. სუმბათაშვილს). „თქვენი მემამულენი, არტისტები ტფილისის ქართულის თეატრისა, მოგიძღვნით სალამს საქართველოს შუაგულიდგან დღეს, როცა შესრულდა ოცი წელიწადი თქვენის სახელოვანის მსახურებისა ხელოვნების წინაშე რუსეთის საუკეთესო სცენაზედ. იცოცხლეთ მრავალ-ჟამიერ.

პასუხად თავ. სუმბათაშვილმა მოსწერა დრამატიულ საზოგადოებას დიდის თანაგრძნობის დეპეშა, დაწერილი რუსულის ასოებით და ქართული სიტყვებით.

„ღმერთმა აცოცხლოს საქართველო და მისი ახალგაზდა თეატრი; ათასი მოკითხვა და მადლობა ჩემს ამხანაგებს. თქვენი დეპეშა იყო ჩემთვის, როგორც სინათლე ჩვენის სამშობლოს მზისა“. სუმბათოვი.

✦ ოთხშაბათს, 4 სეკდემბერს, დანიშნულია ავჭალის სახალხო აუდიტორიაში გამოცდა სახალხო თეატრის ახალ მოყვარულთა. მსურველი 25 კაცია, საჭირო-კია მხოლოდ 5 კაცი.

✦ 14 სეკდემბრისთვის დანიშნულია პირველი ქართული სახალხო წარმოდგენა რკინისგზის სახელოსნოების თეატრში. წარმოსადგენად დანიშნულია განსვენებულ ავქ. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ველარ ჰნახავ“. 20 სეკდემბრისთვის პირველივე წარმოდგენა გაიმართება ავჭალის აუდიტორიაში და იქაც ითამაშებენ ცაგარლისავე პიესას: „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო.“

✦ 8 სეკდემბრიდან დაიწყებს მოქმედებას ჩუღურეთისა და ნაძალადევის საკვირაო სკოლა.

✦ კვირას, 1 სეკდემბერს, დიდის ამბით აკურთხეს საძირკველი სასულიერო სემინარიის შენობათა ვერაზედ. კურთხევის წესი შეასრულა სიონში წირვის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსმა. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. საუზმეზედ, რომელზედაც მიწვეულ იქმნა ეგზარხოსი სემინარიის მთავრობის მიერ, წარმოთქმულ იქმნა შესაფერი სიტყვები.

✦ უმაღლესად დაარსებულ განსაკუთრებულ საბჭოს, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის უფროს საქმის გამგესაგან კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა ქაღალდი, რომელშიაც დასახელებულია სხვა-და-სხვა მიზეზი ხორბლეულობისა და სამრეწველო საგნების ვაჭრობის დაცემისა რუსეთის სახელმწიფოში; საბჭოს უფროსი გამგე სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას, შეგვატყობინეთ რა აზრისა არიან თქვენის საზოგადოების წევრნი ამ საგანზედ, დაასახელეთ ესა თუ ის ღონისძიება, რითაც-კი შეიძლება ხორბლის ვაჭრობის გაუმჯობესება და აგრეთვე მიზეზნიც ამ ვაჭრობის დაცემისაო.

✦ ტფილისის მიხეილის სატეხნიკო სასწავლებელში წელს უკვე დამთავრდა ეგზამენები; სულ მსურველი სასწავლებელში შესვლისა ყოფილა 108 კაცი. ამათში დაუჭერია ეგზამენები 51 კაცს; ვაკანსია ყოფილა 29, მიუღიათ 34 კაცი. ამასთანავე გზათა სამინისტროსთან დაარსებულმა სამოსწავლო განყოფილებამ აუწყა სატეხნიკო სასწავლებლის უფროსს, რომ ქალ. ვლადიკავკაზში წელს დაარსდა მაგგვარივე სატეხნიკო სასწავლებელი, სადაც შვიდი ვაკანსიაა თავისუფალიო; აუწყეთ იმათ, რომელთაც ეგზამენი დაიჭირეს და კი არ იქმნენ მიღებულნი, ისურვებენ თუ არა ამ ვაკანსიების დაჭერასაო.

✦ კვირას, ღამის 1 საათზედ, ტფილისის

ობსერვატორიის გაუჩნდა ცეცხლი; ზარალი დიდია.

✦ აქამომდე ქალაქის გამგეობას ამომრჩეველთათვის გაუცია 67 ბილეთი საარჩევანო დარბაზში შესვლისა და არჩევნებში მონაწილეობისა.

✦ ბაზელის უნივერსიტეტის ქიმიკოსმა არტემა ამბარცუმის ძემ მანუკიანცმა მიართვა გუბერნატორს ქაღალდი და სთხოვა, ნება მომეცით ქალაქში ქიმიურ ლაბორატორიის დაარსებისა; ლაბორატორიაში გამოვიკვლევ ხე-ტყის მასალასა და ყოველგვარ ნუზლ-სანოვაგესაო. ტფილისის გუბერნატორმა ეს თხოვნა ქალაქის გამგეობას გარდასცა და სთხოვს შეატყობინოს, დაბრკოლება ხომ არაფერია თქვენის მხრივაო.

✦ გუშინ, 1 სეკდემბერს, ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილება თიანეთს გაემართა სხვა-და-სხვა საქმის გასარჩევად. სხდომა ექმნება 3 და 4 სეკდემბერს. სასამართლოს თავმჯდომარეობს ვ. თ. პადალკო. წევრად არის ალ. გ. რიბინი. ბრალმდებლად ამხანაგი პროკურორისა ვ. ვ. ფონ-კლუგენი.

✦ ტფილისის ვაჟთა პირველ საკვირაო სკოლას ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა წლიური შემწეობა 300 მან.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ბ-ნი მედვედევი დღეს ბორჯომიდგან ტფილისში დაბრუნდება.

✦ 1 სეკდემბრიდგან ქალაქის გამგეობაში განთავისუფლდა ვაკანსია სტიპენდიისა გრაფ მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვის სახელობაზედ რუსეთის უნივერსიტეტებში დაარსებული. ეს სტიპენდია მიეცემა ტფილისის გიმნაზიებში დამთავრებულ ყმაწვილებს, ტფილისში დაბადებულთ; ვისაც სურს ეს სტიპენდია მიიღოს, თხოვნა უნდა მიართვას ქალაქის გამგეობას 25 სეკდებრამდე.

✦ 28 აგვისტოს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში დასრულდა მისაღები ეგზამენები. 96 მთხოვნელიდგან ინსტიტუტში მიიღეს 30 კაცი. აქედგან ექვსი ქართველია...

✦ ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს გუბერნატორს, რომ პოლიციის მოხელეთა რიცხვს ტფილისში მოემატოს. პოლიცმეისტერის ვარაუდით ეს ახლად მომატებულნი მოხელენი მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიდნენ სამსახურად, როცა საქმე მოითხოვს; პოლიცმეისტერის გამოანგარიშებით ამ ახლად მომატებულთა შენახვა წლიურად დაჯდება 900 მანეთი.

✦ ამ ორის წლის წინად კავკასიის მთავრობამ აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ საგნის შესახებ უმაღლესს მთავრობას უკვე წარედგინა გეგმა. უმაღლესს მთავრობას შესაძლებლად უცვნია ამ პროექტის განხორციელება და დაუდგენია, კავკასიაში მრავლად იყოლიოს ექიმები და ამათ დაევალოთ უკანონო ბავშვთა თვალ-ყურის გდება.

✦ გუშინ საღამოს ქალაქის საბჭოს უნდა წარსდგენოდა სხვა საქმეთა შორის ახლად შემცირებული ნიხრი ხორცსა და პურზედ.

✦ ამ ჟამად ქალაქის გამგეობა შეუდგა მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების ალაგ-ალაგ შეკეთებას, რადგანაც მათი ბრწყინვალება თავ. გოლიცინი ამ გზით ივლის დიდუბეში მხედრობის აღლუმებზედ.

✦ დღეს ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატების კრება.

✦ კავკასიის ოლქის მზრუნველმა ამ ჟამად დაურიგა კავკასიის სასწავლებლების უფროსთ საერო განათლების მინისტრისაგან გამოცემული ცირკულიარი შესახებ მოსწავლეთა ფიზიკურ ვარჯიშობისა და დაავალა ამ ცირკულიარის აღსრულებას წელსვე შეუდგნენ.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ სოფელ თელათგორში, რომელიც გორის მაზრაშია, ძალიან თურმე გავრცელებულა საქონლის ჭირი. დღე არ გავა, რომ ხუთი-ექვსი სული არ დაიხოცოს.

✦ კავკასიის მთავრობას უთხოვნია უმაღლესს მთავრობისათვის, რომ ყოველ გუბერნიაში დაარსდეს უკანონო ბავშვთა თავშესაფარი.

✦ კვირას, 1 სექტემბერს, დილის 5 საათზე დიდ ვანქის ქუჩაზედ, გადიწვა სახლი ერთის კერძო კაცისა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დროზედ მოუსწრო, ჩააქრო ცეცხლი და მეზობელი სახლები გადაარჩინა.

✦ სამარის საერო გამგეობაში ბეითლად ნამყოფმა ბ-ნმა იაკუბოვიჩმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას მიართვა ქაღალდი და სთხოვს, რაიმე ადგილი მომეცით საბეითალო მოხელეობისაო.

✦ მე-3-მე ამომრჩეველთა ნაწილის სიებში მომავალ ხმოსნობის კანდიდატებათ დასახელებულნი არიან: ბაბოვი, ფლორინსკი, ჭრელაშვილი, ანდრეევი, გამყრელიძე, ყარა-მურზა, მეიერი, არღუთინსკი, ვაჩნაძე, დუღაძე, ტხორჟევსკი, შერიფოვი, ყიფიანი, ტიგრანოვი, ხუდადოვი, არღუთინსკი, ბლოტკინი, ევანგულოვი, შ. ქ. ყიფიანი, გექილოვი, ტატიშვილი გულისაშვილი, კაზაკოვი, მირიანაშვილი, ხატისოვი, ნატროშვილი, ენფიაჯიანცი, ხრამელაშვილი, მელიქ-კირაკოზოვი, მესტიაშვილი, შახბუდაღოვი, გრიქუროვი, ქალანთაროვი, ესაძე, ადასაროვი, ფანიევი და დოლუხანოვი.

✦ ქალაქის გამგეობა ამ ბოლოს დროს შეუდგა სხვა-და-სხვა შემოსავლის წყაროების აღმოჩენას. წარსულ კვირას, უფროს სავაჭრო ზედამხედველის განკარგულებით, იარმუკაზედ სავაჭროს ყველა გამომტანთ და სტოლების სავაჭროდ დამდგმელთ მოუმატათ ქალაქის სასარგებლოდ გასადები ხარჯი.

ჩვენებური ამბები

ოზურგეთი. 8 თებერვლიდან 1902 წლისა ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-რთვით ოზურგეთში დაარსებულია სამარხი კასა, რომელსაც ამ ჟამად ჰყავს წევრად სულ 20—25 კაცი. გასაკვირია, რად არ სურს ოზურგეთის საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში! ჩვენში საქმის დაწყებისას ყველანი ალტაცებას აცხადებენ, მერე-კი ესრეთი ალტაცება ნელ-ნელა ცხრება და დაწყებული საქმეც ილუპება. აქაც ასრეა. დამაარსებელ წევრთაგან 10—15 კაცს ჯერ ისევ არ შემოუტანია ხვედრი საწევრო ფული. დამაარსებელი წევრი სულ იყო 20—25 კაცი. რას გააკეთებს 20—40 კაცი? რაც მეტი წევრი იქნება, ის ჩვენთვის (წევრებისთვის) უმჯობესია. საჭიროა, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და რაც შეიძლებოდეს მეტი წევრი იშოვოს...

—

სასიხარულო ამბები გვაცნობეს როგორც გაზეთებმა, აგრეთვე კერძო პირებმაც რკინის გზის გაყვანის შესახებ სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე, რომლის ნებართვა უკვე აუღია თ. ნ. ყ. თავდგირიძეს.

—

როგორც შევიტყვეთ, ოზურგეთში ქალების კერძო პროგიმნაზიის გახსნის ნებართვა მიუციათ ქ-ნ გოლოვინასათვის.

ვანო.

—

ხონი. კარგა ხანია მას აქეთ, რაც ხონში საკვირაო სკოლა არსებობდა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დაიხურა. ახლა ადგილობრივის ინტელიგენციის მეცადინეობით კვლავ გააცოცხლეს ეს სკოლა. ეპისკოპოზის ნება-რთვით, თანხმად წესდებისა, სკოლაში მიიღებიან კაციც და ქალიც, განურჩევლად წლოვანებისა. სწავლა იქნება წირვის შემდეგ. მასწავლებლობა იკისრეს ქ-ნ ოლ. ლორთქიფანიძემ, ა. ქუთათელაძემ, ბ-ნ ალ. ბახტაძემ და მღ. სპირიდონ გორდულაძემ; ეს უკანასკნელი სკოლის გამგეობასაც კისრულობს. იმედია, მამა სპირიდონი მხნედ და ენერგიულად შეუდგება სკოლის საქმეებს და კარგად წაიყვანს. იმასაც ვიმედოვნებთ, რომ ხონის ინტელიგენცია სერიოზულად შეხედავს ამ სკოლას და უწინდებურად წარა-მარა ლაპარაკის მსხვერპლად არ გახდის.

ვარლამ ხუროძე.

—

პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა). წარსულის თვის 24 აგვისტოს გამოღმა სოფლიდამ ს. ომალოში მდინარე ალაზანში გასვლისას ორი ომალოელი კაცი წყალმა წააქცია. სოფლელები თუმცა მალევე მიეშველნენ, მაგრამ ერთი დამხრჩვალი იპოვეს და მეორე ცოცხალ-მკვდარი. როგორც ამბობდნენ, ორივე ნასვამები ყოფილიყვნენ. მეორეც მალე გარდაიცვალა. ეს არა ერთი და ორი შემთხვევაა, რომ ამ ადგილას კაცი იღუპება.

—

ფასანაური. „ივერიის“ № 180-ში სწერდა ხევიდგან კორესპონდენტი, რომ მარიამობისთვის 2-ს, ღამე სვიმონ შიოს ძე გიგაურისთვის ავაზაკებს რევოლვერი დაურტყამთ და ისევ ცოცხალი თერგში ჩაუგდიათო. მკვლელი გიგაურისა გუშინ-წინ, 30 მარიამობისთვეს საღამოზედ ფასანაურში ჩამოვიდა და გამოუცხადა ბოქაულს: „მე გახლავართ მკვლელი სვიმონ გიგაურისა, მოვკალი იმიტომ, რომ ცოლზედ მივასწარიო. გთხოვთ გაანთავისუფლოთ ის ალალ-მართალნი, რომელნიც ამ საქმის თაობაზე შეგიპყრიათ და დაგიმწყვდევიათ დუშეთის საპყრობილეშიო. წყალში გადაგდებაზედ უარი განაცხადა.

როგორც ამბობენ, ესა ყოფილა ჩაფარი ყაზბეგის საზოგადოების მამასახლისისა მოხევე ნიკოლოზ ფიცხელაური.

კოტე ფასანაურელი.

—

ბორჩალო. იმაზე-და სამწუხარო რა უნდა იყოს კაცისთვის, როდესაც მას ესმის და ჰხედავს, რომ მისი ღვიძლი ძმა, ანუ ძმათა შვილი, ანუ ჩამომავლობა ჩავარდნილა გაჭირვებაში, გარს შემოჰხვევია სხვა ტომის ხალხი და დღითი-დღე სცდილობს ან აღგავოს იგი მთლად დედამიწის პირიდგან.

აი ასეთია დღეს ბორჩალოელ ქართველთა მდგომარეობა და, უმეტეს, იმ ბედშავ ქართველებისა, რომლებიც სცხოვრებენ ახალშენ ეკატერინენფელდში.

ამ მხარეს მოსამსახურე ქართველებმა შარშანვე განვიზრახეთ ავუგოთ ეკკლესია აქაურს ქართველობას, დავუარსოთ სკოლა და ამით მივსცეთ შეძლება, არ დაივიწყონ ქართული ენა და მამა-პაპეული სარწმუნოება. შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე ფული და აღმოჩნდა, რომ კიდევ იყო საჭირო ორმოციოდე თუმანი. ამისათვის შევჩივლეთ „ივერიის“ რედაქციას ჩვენი დარდი ეცნობებინა ქართველთა საზოგადოებისათვის და, მადლობა ღმერთს, აგერ ოთხი თვე სრულდება, რაც „ივერიის“ ფურცლებზედ იბეჭდება მოწოდება: „ბორჩალოელ ქართველთა გულის შემატკივართა მიმართ“, მაგრამ, დახეთ ქართველის ბედს, შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდე ერთი ისეთი ქართველი არ აღმოჩნდა, ერთი შაური მაინც მოეწოდებინა (კასპიის ზღვის იქითა მხრიდგან მხოლოდ ერთი თუმანი მოგვივიდა).

ეკკლესია უნდა ეევგოს ისეთს ერს, რომელსაც ოცი თუ უფრო მეტი წელიწადი იგი არ უნახავს. ღვთის მსახურებას იგი გაიგებს თავის სამშობლო ენაზე და სულიერად მაინც დასტკბება და სულიერ დატკბობას მრავალი ბედნიერება მოაქვს ოჯახში ანუ ცხოვრებაში, ვისაც უცდია. ჩვენნი ძმანი, დღეს მშვენივრად მოლაპარაკენი ნემეცურს ენაზე და მსმენელნი „კირკაში“ ლიუტერის სწავლისა, ეღირსებიან გაიგონ მშობლიური ხმები და გალობანი. ახალ მოზარდებს ველარ მოუხერხებიათ თავის ღვიძლს ენაზე საუბარი· ამათ მაინც ავაცდენთ სკოლისა და ეკკლესიის საშუალებით იმ განსაცდელს, რომელიც შემდეგში მოელით.

თუ არ გეცოდებათ ხალხისაგან და ბედისაგან ჩაგრული ერი, შეიცოდეთ მაინც იმათი ახალთაობა, ჩვილნი, უსუსურნი. საჭიროა ღრმა ყურადღება მიექცეს ჩვენს მოწოდებას, მერე-კი „ურემი რომ გადაბრუნდება, სულ სხვა გზა გამოჩნდება“.

მახსოვს შემახაში 1896 წელს, იანვრის პირველს, შემახიის სობოროს თათრებმა შესწირეს ოც-და-ათი თუმნის ფარდაგი და ხალიჩები. თათარი ეხმარება რუსს და ქართველს და დღეს ჩვენ, ჩვენივე ძმისთვის ხელის გაწოდება გვეზარება. აბა კლუბი იყოს ასაშენებელი, ან მოშავრისა თუ დმანისის ხეობაზე სანადიროდ გასვლა?

მღ. სტ. ბაიდოშვილი.

—

ქ. თელავი. კვირას, 25 აგვისტოს, თელავის სომეხთა საქველ-მოქმედო ამხანაგობის დარბაზში აქაურ სცენის მოყვარულთა გუნდმა გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ფული თუ ხარისხი“ აზიანისა. ფრიად კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-ნთ კაკაბაძემ და გამყრელიძემ. ბ-ნ კაკაბაძეს არა ერთხელ უსიამოვნებია აქაური საზოგადოება თავისს მოხერხებულის თამაშობით. ჩვენის ფიქრით, მეცადინეობასთან ერთად ნიჭიც შესწევს მსახიობისა და ამიტომ ჩვენი გულ-წრფელი რჩევაა—ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს გულდადებით და თუ გარემოება ხელს უწყობს, ტფილისელ ქართველ არტისტთა გუნდში ჩაეწეროს.

დიდის მადლობის ღირსნი არიან აღნიშნულ გუნდის სცენის მოყვარულნი, რომელნიც თავიანთ ინტერესს სრულებით არ მისდევენ, ბევრს დაბრკოლებასა სძლევენ და საზოგადოებას უსასყიდლოდ ემსახურებიან. ვუსურვებთ ამნაირსავე ერთგულ, უანგარო სიყვარულს თეატრისადმი სხვა აქაურ სცენის მოყვარულთაც.

ვ. ე—ლი.

—

ხონი. გათავდა ჩვენს დაბაში გამოცდა მისაღებ მოსწავლეთა. დაწყნარდა ბევრი აღელვებული მშობელი და ბევრი ისევ შფოთავს. წელსაც აუარებელი რიცხვი მთხოვნელებისა მოაწყდა აქაურ სასწავლებლებს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან. 26 აგვისტოდგან დაიწყო ყველგან მისაღები გამოცდა და გაგრძელდა 30 რიცხვამდე. მამებს გული უცემდათ და მოუთმენლად ელოდებოდნენ თავიანთ შვილების ბედ-იღბალს.

ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში იყო ადგილი 50, მთხოვნელი 100; სამოქალაქო სასწავლებელში—ადგილი 60, მთხოვნელი 150; სამასწავლებლო სემინარიაში-კი უფრო მეტი გაჭირვება იყო: 9 ადგილს შესჩერებოდა 63 კაცი. პირველად შემოწმებულ იქმნა მათი ჯანმრთელობა და დაიწუნეს 22. 41 კაცი დაუშვეს გამოცდაზე, რომლებიდგანაც 14 დაიწუნეს «წერაში“. დარჩა ბოლოს 27 მოსწავლე; აქედგან კარგა მიუგო 21 კაცმა, ხოლო ამოარჩიეს ცხრა და მიიღეს სახელმწიფო ხარჯზედ, 13 დარჩა უადგილოდ და და დანიშნულ იქმნენ კანდიდატებად. რა უნდა ჰქნან საცოდავებმა, სადღა უნდა წავიდნენ? კიდევ კარგი, რომ მომავალ წელში მიღების დროს მათ რაიმე შეღავათი მიეცემოდეს სემინარიის მთავრობისაგან. ამ ორი კვირის განმავლობაში თუ კაჩნდა მათთვის ადგილი, თორემ შემდეგ ხელ-ახლა უნდა დაიჭირონ ეგზამენი. მაგრამ იმედი დაკარგულია, რადგან, თუ დაიცალა ადგილი, დაიცლება ერთი ან ორი, სხვანი მაინც უბინაოდ რჩებიან.

აქაურს სემინარიაში არის სულ 50 კაცის ადგილი. მეტად საჭიროა, გაფართოებულ იქნას პანსიონი სემინარიისა, რომ 70 კაცი მაინც მოთავსდეს და ყოველ წელს ამდენი მოსწავლეები უგზო-უკვლოდ არ დარჩნენ. თუ გინდ პირველს წელიწადს რამდენიმე თავისის ხარჯით მიიღონ. როგორც გავიგეთ, სემინარიის დირექტორს ამის შესახებ შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მოწყალე თვალით შეხედავს ამ გარემოებას, აგრეთვე მიაქცევს ყურადღებას მას, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქუთაისის გუბერნიიდგან მოსწავლეებს არ დებულობენ და ეუბნებიან: „იმერლებს სემინარია ხონში გაქვთ და იქ მიაკითხეთო“. სასწავლებელი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. თუ ასე იქნება, ხონის სემინარიის მთავრობაც უარს ეტყვის, როგორც ტფილისის გუბერნიიდგან, ისე კუბანის და თერგის ოლქიდგან ჩამოსულ მოსწავლეებს.

ხონის სემინარიაში წელს მიღებულთა რიცხვში 2 რუსია და 7 ქართველი

ვლადო ბზვანელი.

—

ახალციხე. ასიკო ცაგარლის უდროოდ სიკვდილმა აქაურს ქართველობას ღრმად ატკინა გული და სევდა და ვარამი აუშალა. ისედაც მცირე გუნდს ქართველ მოჭირნახულეთა ბედმა გამოგლიჯა ერთი მესვეურთაგანი და აბა გულს როგორ არ გვატკენდა ასეთი ადამიანის დაკარგვა!

ფელეტონი

დურგლიანთ ქორწილი

(შემდეგი *)

VI

შაბათის დღის ავდრის შემდეგ, კვირა დღეს გამოიდარა, მხოლოდ საშინელი ქარი ამოვარდა და ჰგლეჯდა იქაურობას. შემოდგომის მკრთალი მზე ოდნავ სითბოს უშვებდა მოწმენდილ ციდანა და ისიც ამ ქარში იკარგებოდა.

ჩვენი ურემი გასცდა ორღობესა და შეუდგა აღმართს, სადაც ერთ დაბალ გორაკზედ იყო აშენებული პატარა ძველი საყდარი. ჩვენი მაყრები და ნიჩბისელის ქალის მხრივ მაყრები, რაკი დაიღალნენ მღერითა, დაიწყეს ერთმანეთში ბაასი და ლაპარაკი.

— რა შორსა ყოფილა, კაცო, ე თქვენი საყდარი?—ჰკითხა ერთმა ჩვენმა მაყარმა ნიჩბისელ მაყარსა.

— მაგ საყდრის სიშორემ ერთხელ ერთი საცოდავი ამბავი მოახდინა ჩვენ სოფელში, — უპასუხა ნიჩბისელმა ჩვენს მაყარს იმის კითხვაზედა.

— როგორა?

— აი როგორ: ჩვენ სოფელში ერთ გლეხს დაეკარგა ხარი და ვეღარ იპოვნა. საწყალი გლეხი დადიოდა და მთელი კვირის განმავლობაში ეძებდა. ბოლოს მკითხავსაც აკითხვინა, მაგრამ ვერა გაიგო-რა იმის დამარჩენელი ხარისა. მერმე ამ კაცმა დაიწყო ლოცვა და წავიდა ამ საყდარში, რომ ეგები როგორმე შეებრალებინა ხატებისთვის თავი. იფიქრე იმისი გაოცება და სიხარული. შეაღო კარები და ხარი-კი იქ დაჰხვდა. გახარებულმა გლეხმა საჩქაროთ მოუტანა ხარს თივა და წყალი; უჭმელობისაგან სული ძლივსღა ედგა. გააძღო და, როდესაც ღონეზედ მოვიდა, წამოიყვანა შინ. მას უკან ყოველთვის დაიარება ის გლეხი ამ საყდარში მადლობის შესაწირათ. ხუმრობაა? ერთი ხარი ცალათ დარჩენოდა და, მანამ ტოლს უშოვნიდა, რა უნდა ექმნა? შიმშილით დაეხოცებოდა ცოლშვილი, — დაატანა თანაგრძნობით მოლაპარაკემ.

— როგორა ყოფილა, რომ ხარი იქ დაჰხვედრია?—ჰკითხა კიდევ მოსაუბრემ მოლაპარაკეს.

— მაგას რაღა დიდი გაგება უნდა, კაცო, ხარი კარებს მისწოლია და შესულა; როცა შესულა, კარები ისევ მოხურულა და ხარი შიგ დარჩენილა.

— მერე მთელ კვირის განმავლობაში როგორ ვერავინა ნახა, ერთხელ ან ღვდელმა როგორ არ დაჰხედა საყდარსა?

— ჩვენ ღვდელსა, ძმაო, მარტო ფულებისაკენ უჭირავს თვალი.

— საყდრის კარი ღია რაღათა ყოფილა მერმე?

— აქამდის ჩასაკეტი არა ჰქონდა და მას აქეთ-კი, როცა ის ამბავი მოხდა, იმ გლეხმა გააკეთებინა თვითონა.

ამ ლაპარაკით მივუახლოვდით საყდარსა და გამოჩნდა იმისი ხავს-მოკიდებული კედლები. საყდართან მოგროვილიყვნენ მთელი სოფლის ქალ-რძლები და ჩვენს მოლოდინში იყვნენ.

— ღვდელი სადღაა?—იკითხა უცებ გიგამ, რაკი დაინახა საყდრის კარი დაკეტილი.

— საყდარშია,—უპასუხეს იქვე მდგომთ.

— კარები რაღას ჩაუკეტია მერე?

ჩვენ მანამ პატარძალი ჩამოვახდინეთ ურმიდამ და მივიყვანეთ საყდრის კარებთან ხელდაჭერილი.

— კარები გააღე, მამაო,—შესძახა გიგამ სანათურიდამ მღვდელსა.

— კარის გასაღები ჩამოდით ჯერა!—მოისმა ხმა შიგნიდამ ღვდლისა და დიაკვნისა.

— ჯერ კარები გააღეთ და მერმე ფული ისე მოითხოვეთ.

— არა, შვილო, ლაპარაკის თავი არა მაქვს; აი სანათურიდგან გადმოგვაწოდეთ და კარებს მაშინ გავაღებთ; ტყუილია, მერე უფრო გაგიძნელდებათ მოცემა, მაგისთანა ნანა მე ვერ დამაძინებს.

— როგორ თუ არ აღებენ!—შესძახეს მაყრებმა უცება.

— ჩვენი ნებაა და არ გავაღებთ, ძალაზეა?—ისმოდა კიდევ შიგნიდამ ხმა.

— გააღეთ-მეთქი, თორემა შემოვამტვრევთ ე კარებსა და ისე შემოვალთ,—იმუქრებოდნენ მაყრები.

კარებს მაინც არ აღებდნენ.

— ახლა რაღა ვუყოთ, უკან წავიდეთ, თუ როგორა ვქნათ?—სთქვა გიგამ დაღონებითა.

— ერთი მანათი მაქვს, მივაშველოთ,—სთქვა გელიტაანთ მიხამ.

— ძმა ძმისთვინა ამ დღისთვინაო, ერთი მანათიც მე მაქვს,—დაიძახა ერთმა მაყარმაცა.

ეს ორი მანათი ჩამაართვა გიგამა და გააწოდა ღვდელსა.

— აჰაა, მამაო, ეს კარის გასაღები და ჯვრის საწერს მერმე მოგართმევთ.

— არ იქნება, ჯვრის საწერიც ეხლავე უნდა მამცეთ ხელში.

— აქ არა გვაქვს, მამაო, მეტი, შინ ჩავალთ, სიმამრის სახლში და იქ მოგართმევთ.

— არ იქნება-მეთქი, ჯვრის საწერიც ეხლავე უნდა ჩამაბაროთ სრულიათ,—გაიძახოდა კიდევ ღვდელი თავისას.

— მაშ დავბრუნდეთ, მამაო?

— რაც გინდა ქენით.

— როგორ თუ დავბრუნდეთ?—მამეცა ერთი,—დაიძახა უცებ გელიტაანთ მიხამა გულმოსულსა და მიაწვა კარებს,—დავბრუნდეთ რომელმა?

— რატომ მაშინ არა ჰკეტავდა საყდრის კარებს, როცა ხარი შედიოდა შიგა?

დანარჩენმა მაყრებმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

— აბა, ნუ გააღებთ და ნახამთ თქვენ ყოფას.

საყდრის კარებმა ჭახა-ჭუხი დაიწყო.

ახლა-კი დაატყეს ღვდელმა და დიაკვანმა, რომ საკმაოთ დალეული მაყრები კარებს დაამტვრევდნენ და გამოიძახეს.

— გავაღებთ, კარგი, გავაღებთ, ნუღარ აწყვებით,—მოისმა შიგნიდამ ხმა შეშინებულის ღვდლისა და დიაკვნისა.

— მაშ, შვილო, მერე არ მალაპარაკოთ ფულზე,—სთქვა კიდევ კარების გაღებისთანავე ღვდელმა.

ამასობაში საყდარი გაივსო ხალხითა. გასათხოვრები, რაც შეეძლოთ, ერთმანეთს ეფარებოდნენ და ისე უყურებდნენ მეფე-დედოფალსა.

მღვდელმა დაიწყო ლოცვა და მობრუნდა მეფე-დედოფლისაკენ ამ სიტყვებით.

— შვილებო,—დაიწყო ღვდელმა,—დღევანდელი დღე არის თქვენთვის დაუვიწყარი დღე; დღეს თქვენ კისრულობთ საუკუნო უღელს ამ სოფელში,—ხოლო ეს სოფელი არის საბოლოოცა, ესე იგი საბედნიეროცა და საუბედუროცა. ამ სოფლიდან შეიძენთ თქვენ სასუფეველსაცა და ჯოჯოხეთსაცა. ხოლო აცილება ჯოჯოხეთისა თქვენს ხელშია. დღეს თქვენ ებმით ერთმანეთის მოვალეობის უღელში. დღეს თქვენ ხდებით ერთმანეთის მოვალენი. დღეს თქვენ მოხვედით ამ ღვთის სახლში არა იმიტომ, რომ მხოლოდ ხალხს აჩვენოთ, არამედ იმიტომ, რომ აქ აღიაროთ ქრისტეს ჯვარის წინ, სჯულისამებრ ჩვენისა, რომ თქვენ ხდებით საუკუნოდ ერთმანეთისანი, განუყრელნი ურთიერთისაგან, სულითაცა და ხორცითაც. არ უნდა ჩაითვალოთ დღევანდელი დღე თქვენ მარტო სათამაშოთ, რადგან დღევანდელი დღე თქვენ აგიხსნით თვალებსა და ჩაგახედებთ ცხოვრებაში. დღევანდელი დღე იქნება სარკე თქვენის ცხოვრებისათვის და ამ სარკეში ჩახედებით უნდა დაჰლიოთ თქვენნი დღენი სიმართლითა და სიყვარულით. და თუ დღეს თქვენს მშობლებს მოუყვანიხართ ძალ-დატანებით ამ ფრიად ძნე-

---

*) იხილე „ივერია“ № 180.

მწუხარება უფრო გაამწვავა იმ ტკბილმა მოგონებამ, რომ ამ ოც-და-ხუთის წლის წინად ასიკოც ერია იმ ქართველთა პატარა წრეში, რომელმაც პირველად შემოსდგა ფეხი „დიდებულ მესხეთის ნატამალზე და მერცხალივით მიჭიკინ-მოჭიკინა არემარეს ხმა „ეროვნულის გადვიძებისა და თვით ცნობიერებისა". ხმა-კი ენერგიითა და სიცოცხლით სავსე, ისე არსადაა საჭირო, როგორც ამ კუთხეში, სადაც უოველდღე ეროვნული წარიხოცა დედამიწის პირისაგან. დღესაც ბევრს ახსოვს ის საამო წუთნი, ის საამო სულის ვითარება, რაც გამოსცადეს ქართულ დრამატიულ დასის მოსვლის დროს განსვენებულ ასიკოს თანადასწრებით და თავის მოწონებით იგონებენ „იმ კარგ დროსა და ჟამსა".

ესაა მიზეზი, რომ ეკკლესიაში შეიკრიბნენ აქაურნი ქართველნი „მოვალეობის» მოსახდელად-კი არა, ღრმა მწუხარებისა გამო. პანაშვიდის შემდეგ იმ ტკბილის ქართულით, რომელიც ბოლოს ასე სანატრელი და სანუკარი გვიხდება და ლამის პატივცემულ არქეოლოგთა და ლინგვისტთა საჯიჯგნად გაგვიხდეს მალე, „ჩვენმა" დეკანოზმა დ. ხახუტაშვილმა მცირე სიტყვით მოგვმართა და მკაფიოდ დაგვისურათა, თუ ვინ იყო „მონადირის", ახლად გარდაცვალებული აქსენტი ცაგარელი", როგორც კაცი და მეგობარი, როგორც საერო მოღვაწე, ხალხის გულის გადამშლელი და როგორც საერობო არტისტი-დრამატურგი. წარამარად პუედ-პუედ სიტყვების სავარდობის დრო სამუდამოდ წავიდა და დადგა დრო მოქმედებისათ და მოუწოდა ეკკლესიაში შეკრებილთა მცირე გუნდს ქართველობისას რამე წვლილი გამოეღო და მით უმეტეს ეგო სახელი ნიჭიერის მწერლისა. ჩვენზე მეტად დაწინაურებულნი ასე იქცევიან და ჩვენი ხელოვნების მოყვარეობაც ესაა. დროსა და ჟამის შესაფერი მოწოდება ყველას გულს ჩასწვდა და შემდეგ შეუდგნენ ფულის შეკრებას დრამატიულ საზოგადოების გადასაცემად. თავისს დროზე შეკრებილი ფული გაიგზავნება, სადაც ჯერ-არს.

ა. ფრონელი.

უცხოეთი

(წერილი პირველი)

რა ბევრსა სწავლობს კაცი საზღვარ-გარედ მაშინაც-კი, როცა განგებ სამკურნალოდ მიდის! დიახ, ძალიან ბევრს, თუ-კი კაცი თვალებს არ დახუჭავს.

ვოლაჩისკშივე (საზღვარია) საინტერესო ამბავი შევიტყე: საზღვარ-გარეთელ ექიმების დამქაშები, როგორც ტფილისის ზოგიერთა ნაფიც ვექილების დამქაშები, თვით ვოკზალზე იჭერენ რუსეთიდგან მოსულს ავადმყოფებს.

მე მაშინვე ეჭვი მივიტანე ერთ კაცზე, სახით ურიის ჩამომავლობისაზედ, რომელიც სხვა-და-სხვა ჯგუფებს სხვა-და-სხვა ენაზედ ელაპარაკებოდა. თავისს თავს ექიმად აჩვენებდა, ვითომ საზღვარ-გარეთის სამკურნალოდგან დავბრუნდიო და, როგორც გამოცდილი და მცოდნე კაცი, ყველას უხსნიდა, სად და რომელ სპეციალისტებთან უნდა წასულიყვნენ ავადმყოფები. თუმცა ეს ვაჟბატონი ლაპარაკობდა რაღაც დამტვრეულ გერმანულ-პოლონურ-მალოროსიულ-რუმინულ ენაზედ, მაგრამ მაინც ყველანი დიდის ინტერესით უგდებდნენ ყურს; მერე, ზოგიერთნი, მეტადრე ქალები, გაიხმობდნენ ამ ვაჟბატონს ცალკე, დასვამდნენ სადმე საიდუმლო კუნჭულში და ეს ლაპარაკი იმითი თავდებოდა, რომ საზღვარ-გარეთ მოგზაური ავადმყოფი, ქალი თუ კაცი, რაღასაც ჩაიწერდა თავის საგზაო წიგნაკში და დამქაშის ხელში ლურჯი და მწვანე რუსული ასიგნაციები გადადიოდა.

დიდი-ხანია ვიცოდი, რომ ბერლინსა და ვენაში, იქაურ განთქმულ ექიმებს, ჰყავთ თავიანთი დამქაშები ექიმთა შორის, მაგრამ ის-კი ჩემთვის პირველი გაგონება იყო, რომ ეს დამქაშები ვოლაჩისკამდის მოაწევდნენ.

ის-კი მართალია, რომ რუსეთიდგან მოსულმა ავადმყოფმა არ იცის, რომელ სპეციალისტს მიჰმართოს, რადგანაც თვით რუსეთის ექიმები ძალიან ცოტათი იცნობენ ამ სპეციალისტებს. მაგალითად, ერთი ჩემი ნაცნობი რუსეთის ექიმებმა გაგზავნეს ერბთან ბ თვითონაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერბი ერლანგენში სცხოვრობს და ამიტომ ეს ჩემი ნაცნობი პირ-და-პირ ერლანგენს მივიდა, სადაც მე შევხვდი. აღმოჩნდა, რომ ერბი დიდი ხანია, რაც ჰეიდელბერგშია და არა ერლანგენში; მის საბედნიეროდ ერლანგენში იმყოფება შინაგან ავადმყოფების ექიმი-პროფესსორი შტრიუმპელი, რომელიც ერბს არ ჩამოუვარდება. პროფესსორის შტრიუმპელის კლინიკა დავიარე და ჩემის თვალით დავრწმუნდი გერმანელთა ექიმების პატიოსნებაზედ. წარმოიდგინეთ, დღეში ოთხ მარკად კლინიკაში აძლევენ ავადმყოფს ერთს საკუთარს ოთახს ყოველის მოწყობილობით, სასმელ-საჭმელით, წამლებით ბ ექიმებით. დაუმატეთ ამას წასვლა-მოსვლის ფასი და გამოვა, რომ ტფილისელისათვის აქ წამლობა უფრო იაფად ჯდება, ვიდრე მოსკოვისა ბ პეტერბურგის ცარსაგად მოწყობილ კლინიკაში. აი ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ დიდი ნაწილი რუსეთის ავადმყოფებისა საზღვარ-გარეთ მიდის სამკურნალოდ. რაც უნდა ძვირად ჯდებოდეს კარლსბადსა და მარიენბადს წამლობა, მაინც კიდევ აქ უფრო იაფია, ვიდრე კისლოვოდსკსა და ესენტუკში. იაფობის გამო დიდ-ძალი ხალხი აწყდება ამ ადგილებს; მაგალითებრ, იმ დღეს, როცა მე მიველი კარლსბადს, ერთი ვაგონი მესამე კლასისა სავსე იყო ავადმყოფებით; ეს ავადმყოფები თითქმის სულ ურიები იყვნენ; ნუ გეგონებათ, რომ ეს იშვიათად ჰხდებოდეს. თითქმის ყოველ დღე შეხვდებით ავადმყოფებით გატენილ ვაგონებს. კარლსბადის სამკურნალოს გამგეობამ არ იცის, რა უყოს ამოდენა ხალხს და სცდილობს როგორმე თავიდამ მოიშოროს; მარიენბადში მიამბეს, რომ გერმანიის ოც-და-თექვსმეტ სამკურნალოს გამგეობამ გადასწყვიტა, აღარ მიიღონ ურიები თავიანთ სამკურნალო წყლებზედაო.

ავსტრიელები ჯერ იქამდე არ მისულან და ურიები კიდეც იმიტომ ემადრიელებიან იქაურებს და ავრცელებენ ავსტრიის სამკურნალო წყლების კარგ თვისების ხმას. ამ ხმას გასავალი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ავსტრიის წყლებზე მკურნალობა ცოტათი უფრო იაფია, ვიდრე გერმანიის წყლებზედ.

სხვათა შორის, გალიციის სამკურნალო წყლების ქებას დიდად ავრცელებენ პოლონელები და განგებ ამისათვის კრაკოვში გამოდის სამკურნალო გაზეთი „Przeglad Zdrojowi".

ისიც საინტერესოა, რომ ვინც-კი რაიმე მონაწილეობას იღებს ამ სამკურნალო წყლებზე, გერმანიაში თუ ავსტრიაში, ყველა დიდს მოგებასა ჰხედავს. მაგალითად, ერთმა უბრალო ქვრივმა გლეხის დედაკაცმა ავადმყოფების ფულით შეიძინა მარიენბადში მშვენიერი ვილლა და ამას გარდა იგივეა პატრონი ფაიფურის ქარხნისა. ავადმყოფების მისვლა-მოსვლით მდიდრდებიან აგრეთვე რკინის გზები. ბუფეტის პატრონი ორტბერგს, საცა დღეში 99 მატარებელი მოდის, ორ წელიწადს მილიონერი გახდა და შეიძინა საუკეთესო ვილლა კატოვიცაში. მარიენბადში, საცა მე დიდ-ხანს დავრჩი, რუსები ბლომად იყვნენ, კავკასიიდამ-კი ცოტანი. ცოტას ხნით აქ იყო ქალაქ ბაქოს თავი ა. კ. ნოვიკოვი და ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ვრასსკი. როგორც ჩვენს ტფილისში და მთელს კავკასიაში, აქაც, წვიმებისა და სიცივეების გამო, სამკურნალო დარი ვერ იყო რიგიანი. აქედამ მე, აგრეთვე სხვებმა, მკურნალობის განსაგრძობათ, გავწიეთ შვეიცარიას, საიდამაც წერილს მოგწერთ.

ი. ს.

—

ინგლისი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ბურების გენერლებს ჩემბერლენსა და კიტჩენერთან მთელი ორი საათი ჰქონდათ თათბირიო. თუმცა ინგლისის საზოგადოება, რაც ბურების გენერლები ლონდონს დაბრუნდნენ, თავს იმაგრებდა, ყოველ-გვარ დემონსტრაციებისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელ მოლაპარაკების დროს მაინც ველარ მოითმინა და სამინისტროს შენობის წინ მთელი მილეთის ხალხი შეჯგუფდა; ასე რომ საჭირო შეიქნა პოლიციელთა რაზმის მომატება, რათა წესიერება დაეცვათ.

ნაშუადღევის 2 საათსა და 40 წამზედ მობრძანდა ჩემბერლენი. ხალხში გაისმა მხიარული ყიჟინა. ათის წამის შემდეგ მოვიდნენ ღია ეტლით ბურების გენერლებიც. საზოგადოება ისეთის აღტაცებით მიეგება მათ, რომ ვაშას ძახილს დასასრული აღარა ჰქონდა და მთელი არა-მარე აღელვებულ ზღვასავით გრგვინავდა. ამ აღტაცების დამსწრე ადვილად მიხვდება, რომ მხოლოდ ზოგიერთა ჟურნალ-გაზეთი გაიძვერაობს და ბურებზედ გულს უტეხს ინგლისის საზოგადოებას, თორემ ხალხი სულით და გულით თანაუგრძნობს „დამარცხებულ გმირებს". ლორდი კიტჩენერი სამინისტროში სრულებით შეუმჩნევლად შევიდა. თათბირი გაგრძელდა 5 საათსა და 5 წამამდე. როდესაც მოლაპარაკება დასრულდა და გენერლები გარედ გამოვიდნენ, ხალხმა კიდევ მეტი პატივი სცა მათ. იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც გენერლები და ყოფილი დესპანი ფიშერი იყვნენ ჩამომხტარნი, ხალხი კიდევ მეტს ამბავს აწევდა. ახალშენთა სამინისტრომ გამოუცხადა გაზეთების წარმომადგენლებს, რომ მოლაპარაკების შედეგი ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახება და გარეშე პირებს ვერ გავუმჟღავნებთო.

ლონდონში ათასნაირი ხმებია გავრცელებული ამ სხდომის შესახებ, მაგრამ ყველა საეჭვოა. მთავრობასთან უფრო დაახლოვებულს საზოგადოებაში-კი იმ აზრისანი არიან, რომ ჩემბერლენი ბურების არც ერთს მოთხოვნილებას არ დაჰყაბულდა და არაფერი დასთმოვო. როგორც ამბობენ, მას განუცხადებია, ზავის პირობები ხელ-შეუხებლად უნდა დარჩესო.

გაზეთის „Daily Mail"-ის სიტყვით გენერლები მეტად უკმაყოფილონი არიან ამ მოლაპარაკების გამო და განზრახული აქვთ მალე გაემგზავრონ ჰოლანდიას. „Daily Telegraph"-ი-კი, ალბად მთავრობის ჩაგონებით, მწუხარებას აცხადებს, რომ გენერლებმა იმდენ ხანს აგვიანეს ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკება, სანამ „ბოროტ-განმზრახველით" გავლენის ქვეშ არ მოხვდნენო (გაზეთს, ალბად, რეიტცი, ფიშერი, ლეიდსი ჰყავს სახეში).

საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდაო —ამბობს გაზეთი, რომ გენერლებს მოსვლისათანავე მიეღოთ მთავრობის დიდსულოვანი წინადადებანი, დასწრებოდნენ საზღვაო აღლუმს, რომელზედაც იგინი თავაზიანად მოიწვიეს და შემდეგ ჩემბერლენს მოჰლაპარაკებოდნენო. სამწუხაროდ, მათ ხელიდგან გაუშვეს მარჯვე დრო და უვიცთა და ბოროტ-განმზრახველთა რჩევას აჰყვნენო. ამ სახით გენერლებმა მეტად დიდი შეცდომა ჩაიდინეს და მათდამი მიმართულს მთელის ინგლისის ერის თანაგრძნობას ზურგი შეაქციესო.

„Times" ამბობს, რომ გენერლებმა ჯერ ყოვლად შეუძლებელი მოთხოვნილებანი წარუდგინეს მთავრობას და როდესაც უარი მიიღეს, შემდეგ თითქმის სრულიად უმნიშვნელოსაც დაჰყაბულდნენო. ამ ახლო მომავალში ყოველივე გამოაშკარავდება და მაშინ შევიტყობთ ყოველივეს დაწვრილებითაო. დასასრულ გაზეთი იმედს აცხადებს, რომ რეიტცის აზრს არც ერთი გენერალთაგანი არ დასთანხმდება, რომ ბურებისა და ბრიტანიის მთავრობის კეთილგანწყობილება არივ-დარიოს და ხელახლად გაამწვავისო.

დეპეშით ატყობინებენ ერთს სატახტო გაზეთს, რომ ჩემბერლენისა და ბურების გენერლების მოლაპარაკებამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარაო. გენერლები ახლა თურმე ამზადებენ მოწოდებას, რომელშიაც უნდა გაჰკიცხონ ჩემბერლენი, როგორც მოღალატე, რადგან მან უარჰყო თავისივე დაპირებაო. გენერლები მიდიან ჰააგას და იქიდგან ბრიუსელს, რომ მიტინგები მოახდინონ ინგლისის მთავრობის საწინააღმდეგოდაო.

გერმანია. აგვისტოს 27-ს დიდის გამოჩინებით დაასაფლავეს სახელოვანი მეცნიერი ვირხოვი. აუარებელი საზოგადოება შეკრებილიყო „Unter den Linden"-ს ქუჩაზედ. ვალდეირმა (უნივერსიტეტის სახელით), ობერბურგომისტრმა (ქალაქ ბერლინის სახელით) და ტრეჰერმა (საპარლამენტო დასის თავისუფალ მოაზრეთა სახელით) დიდად შეაქეს ვირხოვი, როგორც მეცნიერი, გამგეობის წევრი და პოლიტიკური მოღვაწე. სწორედ დიდებულს სურათს წარმოადგენდა ეს საზოგადოება: აქ მოეყარათ თავი მინისტრებს, უწარჩინებულესს მეცნიერთა, მწერალთა, პარლამენტის, უნივერსიტეტებისა და მრავალ სხვა კორპორაციათა წევრებს. ეს ამოდენა ხალხი გაემართა წმ. მათეს სასაფლაოსაკენ, სადაც ქალაქს საპატიო საფლავი მოემზადებინა სასიქადულო მამულისშვილისათვის. იმავ დღეს საღამოთი ხელოსანთა საკრებულოს დარბაზში დანიშნული იყო მეცნიერის ხსოვნის პატივსაცემლად დიდებული სხომა, რომელიც გამართა თავისუფალ მოაზრეთა კავშირმა ურიცხვ დეპეშათა შორის იყო აგრეთვე დეპეშები: მოსკოვის, პეტერბურგის, ადესის, სამხედრო საექიმო აკადემიისა, აგრეთვე მოსკოვისა, ხარკოვისა და ხერსონის ექიმთა საზოგადოებისაგან და სხვ. მრ.

სამხრეთ-აფრიკა. როგორც „Daily Telegraph"-ი იუწყება, ბურები თანდათან უფრო ჯავრზედ მოდიან ზავის პირობების გამო. თუმცა სარდლები ურჩევენ მათ, ნურსად გადასახლდებით, ისევ აქ უკეთ მოეწყობითო, მაგრამ მრავალი მათგანი მიდის დასასახლებლად კუნძულ მადაგასკარზედ, გერმანიის დაბა სალანდში და პორტუგალიის მოსსამედერის მაღლობებზედ.

თეატრი და ხელოვნება

შილდა (თელავის მაზრა). აქ ოც და ხუთში გააკრეს ესრედ წოდებული აფიშები. აფიშაში არ იყო ნაჩვენები, ვინ თამაშობდა ანუ ვის სასარგებლოდ იყო გამართული წარმოდგენა, მხოლოდ აფიშის ბოლოში მიწერილი იყო: გამგე წარმოდგენისა სოლ. გოშაძე. უწინ წარმოდგენიდგან აღებულს ფულს რომელისამე საქველ-მოქმედო დაწესებულებას სწირავდნენ და აქ-კი წარმოდგენა მოთამაშეების კუჭის სასარგებლოდ იყო. განა, ყველგან ესე არ არის მიღებული, რომ სცენის მოყვარენი თამაშობენ ხოლმე საქველ-მოქმედო აზრით და ჩვენშიაც ესრე გახლდათ აქამდის და ადგილობრივი სცენის მოყვარენი მარტო ბიბლიოთეკას ანდომებდნენ თეატრიდგან ანაღებს ფულს. ეხლა-კი გვეწვია ზემოდ მოხსენებული და არტისტის სახელით გამართა წარმოდგენა, თუმცა არტისტობის სახელმა ვერ უშველა... ითამაშეს „ადვოკატი მელაძე" და „მონადირე".

მიპატიჟებული.

ბიბლიოგრაფია

Ежемѣсячный метеорологическій бюллетень Тифл. физической обсерваторіи № 7.

ივლისის თვის განმავლობაში (1902 წლისა), საზოგადოდ, იყო ნელთბილი ჰავა, ხანდახან ხანგრძელ წვიმიანობის გამო, მოგრილო. სითბო-სიცივის მაჩვენებლით იყო:

სტავროპოლს	19.5
კავკავს	18.6
თემირ-ხან-შურას	22.9
სოჭს	21.1
ცხუმს	23.1
ქუთაისს	22.7
გუდაურს	13.1
გორს	22.1
ტფილისს	23.8
განჯას	23.8
შუშას	19.2
ბაქოს	26.1
გუმბრს	26.1
ახალ-ბაიაზეთს	16.1

ყველაზე გრილს დღეებში სითბო-სიცივის მაჩვენებელი იყო:

სტავროპოლს	10.2
ესენტუკს	10.2
თ.-ხ.-შურას	12.3
ქუთაისს	13.3
გორს	10.5
აბასთუმანს	10.5
ტფილისს	14.5
განჯას	14.5
შუშას	10.0
ბაქოს	17.8
ერევანს	17.8

წიგნს ბოლოში ჩართული აქვს ფერადებით დახატული მეტეოროლოგიური რუკა.

მ. ჯ.

წერილები
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენ მცირე შენიშვნას თქვენის პატივცემულის გაზეთის ერთ-ერთ მახლობელს ნომერში ადგილი დაუთმოთ:

„ცნ.—ფ—ს„ № 1905-ში და „ივერიის" 182-ში მოთავსებულია წერილები ოზურგეთიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის პატარა მოწაფეების ძმების ჟორჟოლიანების ხელმოწერილი. ჩვენ დიდად ვაფასებთ ბეჭდვით სიტყვას და იმიტომაც საშინლად გვაკვირვებს უგვანო საქციელი იმ ვაჟბატონებისა, რომლებიც ამ ბალღებს ასეთს ყოველ გვარს სიმართლე მოკლებულს და ჭორითა და სიცრუით სავსე წერილებს უწერავენ და მით რედაქციები შეცდომაში შეჰყავთ და თავი და თავი, მკითხველ საზოგადოებას ეჭვებს უღვიძებს გაზეთებში ამოკითხულ ამბების სინამდვილეში. აი, მაგალითად რა ცოცხალ ტყუილებს ვკითხულობთ „ივერიის" და „ცნ. ფურ"-ს დასახელებულ ნომრებში: 1, „ცნ. ფ."-ში „ოზურგეთში ფუთი სიმინდი მანეთია... წყალ-დიდობის გამო ნატანებს და ოზურგეთს შუა შესწყდა ეტლით სიარული 4—5 დღით. არც ფოსტა მოდის... ბევრი მოაჭავლეა საეგზამენოთ წასასვლელი, მაგრამ უგზოობის გამო ვერ მიდის... სამკითხველოში ისეთი წყალი იდგა, რომ მსურველს შესასვლელად ფეხთ უნდა გაეხადა: გაზეთები და წიგნები დასველდა და დაისვარა"... 2, „ივერიაში": „მდ. ბჟუჟმა ახალი გაკეთებული ხიდი შუაზე დაამსხვრია და სოფლებში მისვლა-მოსვლა შესწყვიტა... ქალაქის ქუჩებზე დადგა კალაპოტიდგან გადმოსულ წყლისაგან საშინელი ტალახი... სამკითხველოში დიდი ტბა იდგა, გაზეთები სულ დაისვარა... და სხვა-და-სხვა"...

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ საზიზღარ ჭორების დარღვევა-გაბათილების, —ეს ზედ მეტ ბარგათ მიგვაჩნია, ვინაიდგან ადგილობრივ მკითხველ მკვიდრთათვის მოყვანილ ადგილების სიყალბე და მისი და მის შემთხუზველების სრული უსუსურობა, ან როგორც ჩვენში იტყვიან, „სიყაზილარე" ცხადზე უცხადესია; ხოლო სხვებთან ერთად გვაოცებს ის, თუ რამ აიძულა ეს არა მკითხე-მეტიჩარა ახალ-გამოჩეკილი, „კორესპონდენტები" რომ მკითხველთა და რედაქციების აბუჩად ასაგდებათ ჭორების თხზვისათვის მიუყვიათ ხელი?!

პ. აბაშიძე.
ევ. ს—ძე.

II

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე განმარტებას ადგილი დაუთმოთ. გაზეთ „ივერიის" 176 №-ში ორი წერილი არის დასტამბული იმის გამო, რომ ამავე გაზეთ „ივერიის" 158 №-ში მე გამოვამჟღავნე სტეფანწმინდის წიგნთსაცავის უწესო მდგომარეობა, იქიდამ მრავალის წიგნის გატანა და მითვისება ზოგიერთ ვაჟბატონის მიერ. ბ-ნი მარკოზიშვილი-კი გაცხარებით ბრძანებს: „რისთვის მომახვია მე სხვის ჭირი? რა მიზეზი ჰქონდა, როცა ასეთს სიყალბეს იდენდა? ჩემის აზრით ავტორს თავის პირიმზეების ასამაღლებლად თუ დასჭირდა სხვის პატიოსნების და სიმართლის შელახვაო? მე ხევში ბევრი პირიმზეები თუ ბევრი მტრები მყავს, ამის ანგარიშს არვინა მთხოვს და არცა ვის ვაძლევ და, ვგონებ, ბ-ნო მარკოზიშვილო, არც თქვენთვის იყვეს ამაზედ ბაასი საჭირო! რაც შეეხება საეროთო წიგნთსაცავიდამ წიგნების გაქრობას ანუ მათ მითვისებას, ამას თქვენც თქვენს საპასუხო წერილში იმეორებთ: მართლა-და წიგნთ-საცავი ცუდ მდგომარეობაში იყოვო, მართლა-და საუკეთესო წიგნები დაიკარგაო. მაშასადამე, ყალბი-კი არა, ჭეშმარიტი და კანონიერი წერილი ყოფილა ჩემი წერილი.

კალმის-წვერა.

III

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ვაცნობო თელავის სახალხო სამკითხველოს წევრთ, რომ, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, უარს ვყოფ სამკითხველოს გამგის თანამდებობაზედ და ამ საქმის ყოველგვარ მზრუნველობაზე დღეიდგან ხელს ვიღებ. საჭირო არის საზოგადო კრების მოხდენა და მალე ახალის გამგის ამორჩევა. ამასთან ახალმა გამგემ ბიბლიოთეკა უნდა ჩაიბაროს ძველ გამგე ბ-ნ აჯიმამუდოვისაგან (რომელმაც არ ინება აქნობამდის ბიბლიოთეკის ჩაბარება).

ვ. ედილაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

31 აგვისტო

კოპენჰაგენი. 29 აგვისტოს ბერნსტორფის სასახლეში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი იმპერატორ ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. დაესწრო რუსეთის ქვრივი დედოფალი.

კურსკი. 30 აგვისტოს, 9 საათზე, ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრესა და დიდ მთავრებთან ერთად სადგურ რიშკოვოდან წაბრძანდა სოფელ დიაკონოვოს გამართულ ბანაკთან. იქაურ სკოლის ბავშვებმა სთქვეს სავალობელი „სლავსია". თავად-აზნაურთა, ერობათა და გლეხთა დეპუტაციებისაგან პურ-მარილის მიღების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა სოფელ კოლპაკოვოში და იქიდან ცხენით ჩრდილოეთ ჯარისაკენ. ხელმწიფე მიესალმა ჯარს, შემდეგ წაბრძანდა სამხრეთ-ჯარისაკენ, რომლის მეთაუ კორ-

---

ლის საქმისათვის, ანუ ერთ-ერთი თქვენგანი არ არის მსურველი ამ საქმისა, მაშინ უმჯობესია აღიაროთ აქვე, ამ ღვთის სახლში, ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს ჯვარის წინ, — რათა განცალკევდეთ ერთმანეთისაგან და არა იდოთ გვირგვინი თავსა ტვირთად უკმაყოფილებისა. ხოლო ჩვენ, ვითარცა სულიერი მამა მოვალენი ვართ მოგცეთ დარიგება ესე: უკეთუ ერთს თქვენგანს ეწეროს დიდ ხანს სნეულება, მეორემ უნდა მოუაროს. უკეთუ ეწეროს ერთს თქვენგანს შიმშილი, მეორემაც უნდა მასთანავე მოითმინოს. უკეთუ ეწეროს ერთს თქვენგანს მწუხარება, მეორემაც უნდა თანაუგრძნოს. ამითი დაამტკიცებთ დღესა მას საშინელისა განკითხვისასა თქვენსა სიმართლეს და უმანკო სიყვარულს და არ გახდებით განძევებულ წმიდისა სასუფეველისაგან, როგორათაც გვიბრძანებს სახარება.

აქ მღვდელმა გაათავა დარიგება და მოაბ[illegible]ედვე:

— ნუ დაირცხვენთ, შვილებო, და სთქვით, გულითა გსურთ ერთმანეთის თავი?

ბარნოს ამგვარი ლაპარაკი პირველად ესმოდა და წამოიძახა:

— გვსურს, მარა, რო არა გვსურებოდა, ხომ აქაც აღარ მოვიდოდით.

ქალმაც თავი დაიქნია ნიშნად თანხმობისა და [illegible]თან თავი ჩაღუნა ძირსა, თითქო რაღაც ცუდი საქმე მოიქმედაო.

— ბარაქალა, კარგი! — სთქვა ღვდელმა და მობრუნდა ახლა მე.

— აბა, ნათლი, ბეჭდები გამოუცვალე.

— როგორ გამოვუცვალო? — წარმოვსთქვი მე, რადგან არ ვიცოდი, როგორ უნდა გამომეცვალა.

— აი, შვილო, მეფის ბეჭედი დედოფალს გაუკეთე თითზედა, დედოფლისა მეფეს, სამჯერ. მაგას რა დიდი ცოდნა უნდა?

როგორც დამარიგა მღვდელმა, ისე მოვიქეცი და გამოვუცვალე სამჯერ მეფე-დედოფალს ბეჭდები.

ქალები, რაც შეეძლოთ, თვალებს აჭყეტდნენ სიხარულითა.

მღვდელმა მოიტანა გვირგვინი და გალობით დაადგა მეფე-დედოფალს თავზედა.

— გაკურთხოთ შვილებო და გაგაბედნიეროთ, შეგატკბოთ და შეგაბეროთ, გაგამრავლოთ და აგაღორძინოთ, სათნოებითა, კმაყოფილებითა, სიყვარულითა, ერთგულებითა ერთმანეთისათა და მორჩილებითა მღვთისათა, ამინ! — გაათავა ლოცვა მღვდელმა.

დიაკვანმა ამასობაში ღვინო მოიტანა, მღვდელმა აკურთხა და დაალევინა მეფე-დედოფალს.

დედოფალმა ცოტა მოსვა და ბარნომ ძირა დააძახა.

— უჰ, შენი გულისა, არ გადახუხა ეე! — დაიძახეს მაყრებმა და გააწლაპუნეს პირი.

— ღვდელო, ჩვენც დაგვალევინე ე ღვინო.

— ეს ზიარება არის, შვილო, — უთხრა ღვდელმა და გადასწერა პირჯვარი მეფე-დედოფალსა.

პატარა ხანს უკან მოვდიოდით სახლში ჯვარ-დაწერილ მეფე-დედოფლით.

გ. ხეჩუაშვილი.

(შემდეგი იქნება)

პუსი გამდიდიეთ ბობრიკისა და რადუშინის მდინარეებს შუა. იქითვე მიდიოდა სათადარიგო ჯარი.

ამავე მდინარეებს შუა გორაკზედ შეიკრიბა მეათე საკავალერიო დივიზია და ყაზახთა დივიზიის ნაწილი. სამხრეთ-ჯარის უფროსმა, სამხედრო მინისტრმა კუროპატკინმა, გადასწყვიტა რა იერიშის მიტანა, გააძლიერა თავისი არტილერია. როდესაც ქვეითა ჯარი საიერიშოდ გაემართა, მეათე საკავალერიო დივიზია ორჯელ ზედი-ზედ მიესია მოწინააღმდეგეს, რამაც ჩრდილოეთის ჯარი შეაჩერა, თუმცა წყალზედ გადასასვლელები დაეჭირა ამ ჯარს, რომელსაც უფროსობს დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს-ძე. სამხრეთის ჯარმა, შეაჩერა-რა ჩრდილოეთისა, მოსაშველებელ ჯარის მოლოდინში უკან დაიწია. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა კოლპაკოვოში, საიდგანაც ეტლით ივანინოს სადგურისაკენ გაემართა, ხოლო იქიდან რკინის გზით რიშკოვოში, სადაც ნაშუადღევის ხუთ საათზე დაბრუნდა.

1 სეკდემბერი

კურსკი. შინაგან საქმეთა მინისტრი მივიდა დღეს საგუბერნიო ერობის მმართველობის სადგომში და მიიღო საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარე და წევრი, აგრეთვე სამაზრო გამგეობათა თავმჯდომარენი, რომელთანაც დიდხანს ისაუბრა. შემდეგ მინისტრი წავიდა სადგ. რიჟკოვოზე.

მოსკოვი. საკომერციო განათლების საზოგადოებას ნება მიეცა აიღოს უპროცენტო სესხი 100 ათას მანათისა საკომერციო სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად.

ვინნიცა. დღეს დაიწყო სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა.

ტულონი. რუსეთის კრეისერმა „ბაიანმა" გამართა საცდელი სროლა; გამოცდას კარგი შედეგი მოჰყვა.

ათინა. აქ ჩამოსულა 20 ბოლგარელი. პოლიციამ უბრძანა ქალაქი დასტოვონ, რადგან უწესოების მოხდენის შიში არისო.

მინუსინსკი. 30 აგვისტოს მოვიდა გენერალ-გუბერნატორი გენ.-ლეიტ. პანტელეევი და დაიარა ენისეის გუბერნიის მაზრები, რომელნიც მოუსავლობამ დააზარალა. წრევანდელი მოსავალი გვარიანია.

კემმერი. სამკურნალო სეზონი გათავდა.

კურსკი. აქ ჩამოვიდნენ ჩერნიგოვის, ორიოლის, ხარკოვის, ვორონეჟისა და პოლტავის გუბერნატორები.

კურსკი. 30 აგვისტოს, საღამოს, სამხრეთ ნაწილის ჯარს მიმშველი რაზმები მოუვიდა. ამ ჯარის სარდალმა გენერალმა კუროპატკინმა გადასწყვიტა ხელში ჩაიგდოს მდინარე რეუტის გზა. მოსკოვის ჯარმა დაიწყო კურსკისაკენ დაწევა. ხელმწიფე იმპერატორი დილის ცხრა საათზე რკინის გზით წავიდა სადგურ ივანინოზე; იქიდან ეტლით გაემგზავრა რეუტის გზით და მიბრძანდა სოფ. კოლპაკოვოს, სადაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მიეგება. შემდეგ ხელმწიფე მიბრძანდა სოფ. მალცევოს და იქ, მაღლობ ადგილიდან, თვალს ადევნებდა სამხრეთ ნაწილის ჯარის მოახლოვებასა და მსროლელთა მე-4 ბრიგადის მდინარეზე გადასვლას. ხელმწიფე იმპერატორის თვალ-წინ მოხდა ბრძოლა მსროლელთა მე-4 ბრიგადისა და მე-36 ქვეითა დივიზიის შუა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა მოპირდაპირეთა ერთმანერთთან მიახლოვება და იერიში. ბრძოლის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ჯარები. ხელმწიფეს თან ახლდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ნაშუადღევის 2½ საათზე ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები დაბრუნდნენ სადგურ რიშკოვოზე.

ლოძი. საფაბრიკო ქალაქ ზგერჟეში წასრული სეზონი კარგად გათავდა; თითქმის ყველა დამზადებული ნაწარმოები გასაღდა; მომავალი სეზონიც ალბად, კარგი იქნება. ზოგიერთ მეფაბრიკეთ სამუშაო დრო მოუმატებიათ.

აიაჩიო. ზღვათა მინისტრმა პელტანმა ნადიმზე წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ კორსიკა აერთებს საფრანგეთის სამფლობელოებს აფრიკაში და მეტროპოლიას; კორსიკის ნაპირი პირდაპირ იტალიისკენ არის მიმართული; ხმელთა შუა ზღვას საფრანგეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვსო. ყველა ამ მიზეზით, კორსიკა გამაგრებულ უნდა იქნას, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ თან-და-თან შეიძლება შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობის გამოო.

1 სეკდემბერი.

კურსკი. კურსკს დღეს დიდად სასიხარულო დღე გაუთენდა ხელმწიფე იმპერატორის პირველად ამ ქალაქში მობრძანებით. ქალაქს ვეღარ იცნობს კაცი. უმთავრესი ქუჩები მშვენივრად არის მორთული მწვანითა და ყვავილის გრეხილებით და ბაირაღებით. რიჟკოვოდამ კურსკს მიმავალ გზის ნაპირზე მოსკოვის პოლკის ყაზარმებთან აღმართულია ორი მაღალი თეთრი სვეტი, შემკული ოქროს არწივებით. ხერსონის სადღესასწაულო კარი მშვენივრად არის მორთული. აგრეთვე სხვა სახელმწიფო და კერძო კაცთა სახლები. გათენებიდანვე ქუჩები ხალხით სავსეა. თუმცა პოლიციელთა რიცხვი მცირეა, ყველგან სამაგალითო წესიერება სუფევს; ყველა იმედეულობს ეღირსოს თვისის ხელმწიფის ნახვას.

კურსკი. დღეს ხელმწიფე იმპერატორი ტახტის მემკვიდრით და თანხლებით დიდთა მთავართა ვლადიმერ ალექსანდრის ძისა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და მიხეილ ნიკოლოზის ძისა, მობრძანდა ცხენით რიჟკოვოდამ კურსკს. დიდმა ძალმა გლეხობამ, რომელიც მეფეს გზაზედ დაუხვდა, აღტაცებით სალამი უძღვნა თავის მეფეს და მამას და ტახტის მემკვიდრეს. დილის თერთმეტის საათის დაწყებისას ხელმწიფე მობრძანდა კურსკს და შეჩერდა ხერსონის კართან. აქ ხელმწიფეს მიეგება ქალაქის საბჭო ქალაქის თავით ნოვოსელცოვით, რომელმაც მიართვა პურ-მარილი. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა ქალაქის დეპუტაციასა და ხერსონის ქუჩით და წითელის მოედნით ზნამენსკის მონასტერში წაბრძანდა, სადაც კურსკის და ბელოგოროდის ეპისკოპოსმა ლავრენტიმ სალამი უძღვნა და მიართვა ღვთის-მშობლის სასწაულთ მომქმედი ხატი.

კიევი. დნეპრზე დაიღუპა გემი „ემა", რკინით და ფქვილით დატვირთული.

როსტოვი-დონისა. გუშინ მოხდა ყრილობა ქალაქ ნახიჩევანის საბჭოში ქალთა საკომერციო კურსების დაარსების შესახებ.

უსტიუჟნა. დღეს გაიხსნა ქალთა გიმნაზია, გადაკეთებული პროგიმნაზიიდამ საპატიო მზრუნველის კოპილცოვის ქალისაგან 10,000 მანეთის შეწირვის წყალობით.

როსტოვი-დონისა. აკურთხეს თავშესაფარი სახლი საზოგადოებისა, რომელსაც აზრად აქვს დახმარება საპატიმროებიდან განთავისუფლებულთა.

2 სეკდემბერი

კურსკი. ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო პურ-მარილი ქალაქის მოურავისაგან, ჩაუარა განცხრომილს ხალხს და გაემართა „ზნამენსკის" მონასტრისაკენ. შესავალში ხელმწიფეს მიეგება კურსკის ეპისკოპოსი სამღვდელოებითურთ. ხელმწიფე ემთხვია ჯვარს, შევიდა ტაძარში და მოისმინა წირვა და მოკლე პარაკლისი ღვთის მშობლისა. პარაკლისის შემდეგ ყოვლად-უსამღვდელოესმა ლავრენტიმ მიართვა ორი ხატი სასწაულთ-მომქმედ ღვთისმშობლისა. ეპისკოპოსი შემდეგის სიტყვით მიეგება ხელმწიფეს: „თქვენო იმპერატორებით უდიდებულესობავ, უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, კურთხეულ არს მეუფე, რამეთუ ჩააგონა თქვენს უდიდებულესობას ხილვა ამა მხარისა. იმოდენად არ ხარობს დედამიწა მზის ამოსვლით, რამდენადაც ჩვენ, მხილველნი თქვენის უდიდებულესობისა ჩვენს შორის. თქვენ ნახეთ ეს ურიცხვი ხალხი, ისმინეთ მათი აღტაცებული მხიარულობა,—ყოველივე ეს გულის სიღრმიდგანაა აღმონახეთქი. ეს ხალხი შორით შემოკრბა, მიატოვა ქონება, სახლ-კარი, ოჯახი, რათა ენახა თქვენი უდიდებულესობა. შემოგყურებენ იგინი და ვერა სძღებიან თქვენის ცქერითა და სიყვარულით, მეფე-პატრონო; დაბრუნდებიან შინ და უამბობენ შვილთა და შვილიშვილთა, რომ მათ ნახეს თავისი მეფე. იგინი მოუთხრობენ განაგონსა და ნანახს შვილებსა და შვილი-შვილებს, მოეფინება ეს მოთხრობანი პირსა ზედა რუსეთის ქვეყნისასა, მიაღწევს შორეულს შთამომავლობამდე და შეიქმნება მთელი კრებული სახალხო თქმულებათა, რომელშიაც სახე თქვენის უდიდებულესობისა შემკობილი იქმნება შარავანდედით სიდიადისა, სისპეტაკისა და მშვენებისა. უყვარს თავისი მეფე რუსის ხალხს. ეს სიყვარული, ვითარცა წმინდა აღთქმა, ჩვენ გვიანდერძეს წინაპართა, რომელნიც, როგორც ჩვენ დღეს, შეჰვედროდნენ, აი, ამ სასწაულთ-მოქმედ ღვთისმშობლის ხატსა. ეს წმინდა ხატი მზეებრ ბრწყინავს თავის სასწაულთ-მოქმედებით. დიდძალი ხალხი ეტანებოდა და დღესაც ეტანება მას, რადგან ეძებენ და ჰპოვებენ მის ვედრებაში ყოველ ჭირ-ვარამის ნუგეშსა. ამ უკანასკნელ ხანებშიაც-კი მოხდა აქ დიდი სასწაული—საყოველთაო განადგურების ჟამს წმ. ხატი ბრწყინავდა და დარჩა მრთელი და უვნებელი. უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, უმორჩილესად შეგთხოვთ, მიიღოთ ჩვენგან ეს წმ. ხატი სასწაულთ-მომქმედ ღვთის მშობლისა ნიშნად ჩვენის სამარადისო ვედრებისა, რათა ჰფარვიდეს იგი თქვენს უდიდებულესობას, თქვენს უავგუსტოეს სახლობას და მთელს სამეფო გვარეულობას. კურთხეულიმც იყოს სიონით თქვენი უდიდებულესობა იმ სიკეთისათვის, რომელსაც თქვენ აძლევთ მთელს რუსეთს, იმისათვის, რომ მზრუნველობთ წმ. ეკკლესიისათვის და იმ მოწყალებისათვის სამღვდელოების მიმართ, რომელიც მუდამ თქვენს თავს ღმერთს ავედრებს, იმისათვის, რომ შეაშრეთ ცრემლი ობოლსა და ქვრივ-ოხერსა, არ დაგვტოვეთ უმწეოდ მოხუცებულობაში და, დასასრულ, იმ სიხარულისათვის, რომელიც თქვენ დღეს მოგვანიჭეთ. ეს დღე მთელს ჩვენს სიცოცხლეში დარჩება ჩვენთვის დღედ სიხარულისა".

კურსკი. ყოვლად უსამღვდელოესმა ლავრენტიმ ხელმწიფეს მიართვა აგრეთვე ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრე თეოდორეს ასულისათვის მარგალიტით ნაკერი ხატი სასწაულთ-მომქმედ ღვთის მშობლისა. პირველს საათზედ ზარების რეკითა და მხიარულის ხმაურობით ხალხმა მიაცილა ხელმწიფე ყაზანის ტაძრამდე, სადაც იგი ემთხვია ჯვარს, ესხურა აიაზმით და მოისმინა მოკლე პარაკლისი. იღუმენია სოფიომ მიართვა ხელმწიფეს მარგალიტით ნაკერი ორი სამების ხატი. ხელმწიფე ემთხვია ხატებს, მადლობა გადაუხადა და გაემართა წითელი ჯვრის დათა მოწყალებისათა სადგომისაკენ.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,02½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½°/°
4°/₀ სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4°/₀ სახ. სესხი 1993 წ.	—
4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5°/₀ 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყ.
5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 გაყ.
5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	295 წვ. გაყ.
5°/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87⅜ გაყ.
4½°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5°/₀ ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅝
4½°/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6°/₀ ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	179 წვ. გაყ. —

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის**. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიც დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით:

Квирилы. Квирильское Театральное Т—во.—პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა·

(10—6.—10).

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი" მ. ვ. ლეგვ-დევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—22)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვვედრებ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შეწევნა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან [illegible]
ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	„
მეცნიერებისათვის წამებული, სურათებით, თარგმანი ა. ნაკეტინის .	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის . . .	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები . .	„	10
წმიდა აბო ტფილელი . :	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილის	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილის . .	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანის	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა .	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძის	„	5
ზღაპრები სურათებით . .	1	„
პაწია და ბუზღლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანის . . .	„	30
„შოთა რუსთაველი" მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50

ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის

ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანისა ახლოვდება (ამ წლის 10 სეკტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში**; **ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში**.

ნამდვილი და დროებითი (მე-III-ე სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს **ქუთაისში**: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ნანეიშვილთან. **ტფილისში**: 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. თ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. გ. ნ. დიასამიძესთან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში.

(3—6.—1)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში

(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25°/₀-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საცანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი

ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

(10—6.—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. ხარაჯიშვილი.**